

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებულ პირებს
შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“-ს მაგისტრალურ/
ძირითად (“Trunk”) გადაცემის ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება

მონვევის ოფერტა

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის № 671/9
გადანწყვეტილების შესაბამისად)

23 ივლისი 2026 წ.

ოფერტის მოქმედების გეოგრაფიული საზღვრები:

(გადანწყვეტილების მე-6 პუნქტის შესაბამისად)

- * ზესტაფონი-თერჯოლა
- * ქუთაისი-მარტვილი
- * თბილისი-კაზრეთი
- * თბილისი-ქუთაისი
- * თბილისი-ფოთი
- * ფოთი-ბათუმი

ნაწილი 1. დაშვების ტარიფები

ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელოვან დაშვების მომსახურება 1 (ერთი) ბოჭკოს მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი/კმ	მონაცემების ტრანსპორტირების მომსახურება 1 (ერთი) მბიტ/წმ არხის მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი
14.90	0.50

ნაწილი 2. ანგარიშსწორების პირობები

- * პირველადი გადასახდელი, შესაბამისი მომსახურების ყოველთვიური საფასურის
სრული ოდენობით, ექვემდებარება გადახდას ხელშეკრულების ხელმოწერის
მომენტიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, წარმოადგენს სადეპოზიტო შენატანს და
ჩაეთვლება აქცეპტანტს მომსახურების ბოლო თვის საფასურში ან დაფარავს
აქცეპტანტის დებიტორულ დავალიანებას, როგორც განმარტებულია ქვემოთ;
- * ყოველთვიური ანგარიშსწორება ხორციელდება საგადასახადო ანგარიშ-
ფაქტურების საფუძველზე, საანგარიშო თვის დასრულებიდან 7 (შვიდი) დღის
განმავლობაში. ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ოფერანტი
განაგრძობს აქცეპტანტის მომსახურებას იმ პერიოდში, რომელსაც დაფარავს
სადეპოზიტო შენატანი, თუ ამ პერიოდის განმავლობაში დავალიანება არ იქნება
სრულად აღმოფხვრილი.

ნაწილი 3. ქსელთან დაშვების განხორციელების პროცედურები

- * მომსახურებით სარგებლობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი განაცხადი, რომელშიც მითითებული იქნება ქსელის მონაკვეთი, მომსახურების სახე, მოცულობა და აქტივირების სასურველი თარიღი. განაცხადი ჩაითვლება მიღებულად, როცა მასზე გაიცემა მიღების დასტური, ელექტრონულად: office@foptnet.ge ან ფიზიკურად: თბილისი, ანნა პოლიტკოვსკაიას 42, შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი-ფოპტნეტი“.
- * განაცხადის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში მოკვლეული იქნება მისი დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობა და მოხდება განმცხადებლის ინფორმირება შედეგების შესახებ. თუ განაცხადი არ მოიცავს სრულ ინფორმაციას, რეაგირების ვადა აითვლება აქცეპტანტის მხრიდან დაზუსტებული განაცხადის წარმოდგენის მომენტიდან.
- * აქცეპტანტის განაცხადის დაკმაყოფილების ტექნიკური შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, მხარეები, ორმხრივად შეთანხმებულ დროს, განხორციელებენ პარამეტრების ტესტირებას 24-საათიან პერიოდში.

ნაწილი 4. ფართებზე დაშვება და მომსახურება

- * თავისუფალი ფართის არსებობის პირობებში, აქცეპტანტის დაშვება შესაძლებელია თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.42 და ზესტაფონში, წერეთლის ქ.1, სადაც ოფერანტი უზრუნველყოფს არასანქცირებული შეღწევისგან დაცვას, აქცეპტანტის მომსახურე პერსონალის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით დაშვებას, ელექტრულ კვებას ცვლადი დენის წყაროებიდან და კონდიციონერებს, რის საფასურს აქცეპტანტი გადაიხდის მრიცხველის ანარიცხების შესაბამისად.
- * ოფერანტის ფართებზე აქცეპტანტის მოწყობილობის განთავსების ყოველთვიური საფასური, გაბარიტების მიხედვით, გადასახადების გარეშე, შეადგენს: 1მ x 1მ x 1მ ტოლ ან ნაკლებ გაბარიტებზე 500 ლარი, ხოლო ნებისმიერი განზომილების ყოველ დამატებით 0,5 მ-მდე 50 ლარი.

ნაწილი 5. ხელშეკრულების გაფორმების ვადა

- * აქცეპტანტისთვის სასურველი მომსახურების უზრუნველსაყოფად ტექნიკური შესაძლებლობის/თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, შეტყობინებასთან ერთად მას შესავსებად გაეგზავნება მომსახურების ხელშეკრულების ტექსტი, რომლის ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ შესაძლებელი იქნება მომსახურების დაწყება.
- * მომსახურების/ანგარიშსწორების დაწყების თარიღი აისახება აქტში, რომელიც უნდა გაფორმდეს მომსახურების დაწყებისთანავე.

ნაწილი 6. დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურა

- * აქცეპტანტისთვის მომსახურების მოცულობის გაზრდა განხორციელდება წერილობით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, ტექნიკური შესაძლებლობის/თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ნაწილი 7. დაზიანებული კაბელის აღდგენის ვადები

დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღდგენის ვადები არ აღემატება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კომისიის მიერ დადგენილი რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს.

ნაწილი 8. ხელშეკრულების გაფორმების პროცედურა

აქცეპტანტი შეავსებს მისთვის გადაცემული ხელშეკრულების ტექსტს, დაბეჭდავს და გაუგზავნის ოფერანტს უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დამოწმებულ 2 (ორ) ეგზემპლარს. ოფერანტი დაუბრუნებს აქცეპტანტს ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულების 1 (ერთ) პირს.

ნაწილი 9. მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები და ტექნიკური მომსახურების პირობები

ხარისხობრივი მაჩვენებლები

დაყოვნება (Latency): ≤ 25 ms

ჯიტერი (Jitter): ≤ 5 ms

პაკეტების კარგვის კოეფიციენტი (Packet Loss): $\leq 0.1\%$ თვის განმავლობაში

ხარვეზის დაფიქსირების, რეგისტრაციის, კვალიფიკაციისა და პრიორიტეტიზაციის წესები

აქცეპტანტის მხრიდან შეტყობინების მიღების ან ოფერანტის მონიტორინგის სისტემის მიერ ხარვეზის გამოვლენისთანავე ხორციელდება მისი რეგისტრაცია და ენიჭება საიდენტიფიკაციო ნომერი.

ხარვეზები კლასიფიცირდება შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

კრიტიკული:

- * მომსახურება სრულად მიუწვდომელია;
- * რეაგირების დრო – არაუმეტეს 15 წუთისა;
- * აღდგენის მიზნობრივი ვადა – არაუმეტეს 4 საათისა.

მნიშვნელოვანი:

- * მომსახურება ნაწილობრივ ხელმისაწვდომია ან მნიშვნელოვნად გაუარესებულია;
- * რეაგირების დრო – არაუმეტეს 30 წუთისა;
- * აღდგენის მიზნობრივი ვადა – არაუმეტეს 8 საათისა.

ნაკლებად მნიშვნელოვანი:

- * მომსახურება ფუნქციონირებს, თუმცა არსებობს არასერიოზული ტექნიკური ხარვეზი;
- * რეაგირების დრო – არაუმეტეს 4 საათისა;
- * აღმოფხვრის მიზნობრივი ვადა – არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა.

24/7 ტექნიკური მხარდაჭერისა და ესკალაციის პროცედურები

ოფერანტი უზრუნველყოფს ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებას 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე.

ხარვეზების შეტყობინებების მიღება შესაძლებელია:

- * ტელეფონით;
- * ელექტრონული ფოსტით.

თუ ხარვეზის აღმოფხვრა ვერ ხერხდება პირველადი ტექნიკური მხარდაჭერის (L1) დონეზე, დაზიანება ექვემდებარება ესკალაციას მეორე დონის (L2) ქსელის ინჟინრების ჯგუფთან. საჭიროების შემთხვევაში საქმე გადაეცემა მესამე დონის (L3) ექსპერტებს, მათ შორის აღჭურვილობის მწარმოებლის ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურს.

დაგეგმილი ტექნიკური სამუშაოები:

გეგმური ტექნიკური სამუშაოების შესახებ აქცეპტანტს ეცნობება არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე, სასწრაფო/გადაუდებელი ტექნიკური სამუშაოების შესახებ – არანაკლებ 3 საათით ადრე, ელექტრონული ფოსტის ან ხელშეკრულებით შეთანხმებული სხვა საკომუნიკაციო საშუალებით.

შეტყობინება უნდა შეიცავდეს:

- * სამუშაოების დაწყების და დასრულების თარიღს და დროს;
- * სამუშაოების მიზანს;
- * მომსახურებაზე შესაძლო გავლენის აღწერას;
- * პასუხისმგებელი საკონტაქტო პირის ინფორმაციას.

გეგმური სამუშაოები, შესაძლებლობის ფარგლებში, განხორციელდება დაბალი დატვირთვის პერიოდში, რათა მომსახურების შეფერხება მინიმუმამდე შემცირდეს.

ნაწილი 9. ოფერტის მოქმედების ვადა

წინამდებარე მოწვევის ოფერტა ძალაშია მისი გამოქვეყნებიდან და მოქმედებს 2 (ორი) წლის ვადით. ოფერტის პირობები რჩება ძალაში, ვიდრე ოფერანტი არ შეიტანს მასში ცვლილებებს. წინამდებარე ოფერტის ძალაში შესვლით ძალადაკარგულად ცხადდება 2019 წლის 01 მაისის გამოყოფილი არხებით საბითუმო მომსახურების მოწვევის ოფერტა.

შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის
ქსელი-ფოპტნეტი“-ს დირექტორი

ხათუნა ინჯია

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ანა პოლიტკოვსკაიას ქ.42
ტელეფონი: (032) 2779512
ფაქსი: (032) 2329754
ელ.ფოსტა: office@foptnet.ge